საქართ. მუშარეხენე სოც.-დემოკრატიტ სამუშაოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ცხოვრება

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
თვიურად ღირს 25,000 მ. სამგლოვიარო განცხადება 30,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1,000 მან.

108

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, დეკემბრის 27
1921 წ.

განცხადება

სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობის მომწვევი საორგ. ბიურო აწყობს კავშირის წევრების

საერთო კრებებს

ქ. ტფილისში:

1. მე-ნ, 6, 7 და 8 რაიონები იკრიბება ავლაბრის თეატრის შენობაში დეკემბრის 29-ს ა/წ საღამოს 4 საათ.

2. განათლების კომისარიატი და ქ. განათლების განყოფილება იმავე დღეს 29 დეკ. 12 ს. განგ. კომისარიატი შენობაში ნაშუადღევის პირველ საათზე.

3. 1, 2, 3 და 4 რაიონები და საბურთალო-პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში 30 დეკ. 12 ს. საღამოს 6 საათ.

4. 9, 10, 11 და 12 რაიონები სახალხო სახლში 30 დეკ. 12 ს. ნაშუადღევის 3 საათზე).

ნამდვილი და ყალბი დემოკრატია

საბჭოთა საქართველოსაგან გარიყული ელემენტები ეძღაუშებიან დემოკრატიას. ხალხი, დემოკრატია,—ეი ვინ უნდა იყოს ქვეყნის ბატონ-პატრონი და მისი ბედის გარდამწყვეტელი, ამბობენ ისინი და მოითხოვენ დემოკრატიის პოლიტიკურ ბატონობას.

კბილები გაუსინჯოთ ამ მოთხოვნილებას და გავიგოთ გულწრფელია ის და მართლა ხალხს ინტერესებიდან გამომდინარეობს, თუ საქმე გვაქვს პოლიტიკურ ბრძოლაში ჩვეულებრივ ფატთან, ხერხთან: ხალხის მოსატყუებლად და მისამხრობლად მუდამ მისი სახელით და მის ინტერესებზე ილაპარაკო,—საქმით კი სულ საწინააღმდეგო აკეთო.

დემოსი, ხალხი მუდამ ნიშნავდა ერის დაბეჩავებულ, დაჩაგრულ ნაწილს, მის დარიბ უმრავლესობას. ევპატრიდები, პატრიციები, თავად-აზნაურობა,—ეი მეორე ნაწილი ერისა, პიროვლთან შედარებით ძრიელ მცირე-რიცხოვანი, მაგრამ მდიდარი და ძლიერი. ევპატრიდები ტ დემოსი, პატრიციები ტ პლებსი,კეთილშობილნი და ხალხი, ბურჟუაზია და დემოკრატია—ასე იყო და არის დაყოფილი საზოგადოება სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ქვეყნაში.

მაგასადამე ბრძოლა დემოკრატიისათვის მაშინაა გასამართლებელი, თუ მისი მიზანია დემოსის, ხალხის გბატონება პოლიტიკურად. მაგრამ ბურჟუაზიამ ისე გარყვნა ყველაფერი და მათ შორის ცხებათა გაგებაც, მათი შინაარსიც, რომ ბევრი გულწრფელი რევოლიუციონერი იბრძვის დღეს დემოკრატიისათვის და ვერ ამჩნევს, რომ ეს მისი დემოკრატია ყალბია. მართლაც და ნამდვილი დემოკრატია მხოლოდ მაშინაა, როცა პოლიტიკას ჰქმნის ხალხი, მშრომელი დემოკრატია. ყალბია ის დემოკრატია, რომელიც გამოიხატება მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობას მიდებით. სახელმწიფო წესწყობილებას შინაარს აძლევს და ახასიათებს არა ის, თუ ვინაა ამრჩეველი არამედ ის, თუ ვინ უკარნახებს პოლიტიკას.

ამერიკაში დემოკრატიული რესპუბლიკაა, მაგრამ იქ პოლიტიკას ჰქმნის არა დემოკრატია, არამედ პლუტოკრატია. ასევეა ყველა დემოკრატიულ რესპუბლიკებში. აშკარაა, რომ ყველა ეს დემოკრატიული რესპუბლიკები ყალბია და შექმნილია დემოსის მოსატყუებლად. ყველგან გაბატონებულია კაპიტალისტები, მაგრამ ირქმევენ დემოკრატიას.

ვისაც აინტერესებს არა ფორმა, არა მოჩვენება დემოკრატიისა, არამედ მისი შინაარსი, ხალხის რეალური ბატონობა, ნამდვილი მისი მბრძანებლობა, ის ვერ დაუშვერს მხარს ასეთ ყალბ დემოკრატიას, მაშინ როდესაც ცხოვრებამ წარმოშვა ნამდვილი დემოკრატია, ანუ მშრომელი ხალხის ბატონობა საბჭოთა სისტემის სახით.

ისტორიას არ ახსოვს ჯერ სხვა სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც ხალხს ანიჭებდეს ძალაუფლებას რეალურად და არა მარტო სიტყვით. საბჭოები ნამდვილი დემოკრატიის საუკეთესო ფორმაა დღეს და ვინც მის წინააღმდეგ იბრძვის „დემოკრატიის“ ლოზუნგით, ის სასაცილო მდგომარეობაში ვარდება: ის დემოკრატიის სახელით ბურჟუაზიას ემსახურება, მის კლასობრივ საკმეს აკეთებს წინააღმდეგ მშრომელთა კლასის ინტერესებისა.

ნამდვილი ბატონობა მშრომელი დემოკრატიისა შესაძლებელია ხოლოდ საბჭოთა ქვეყნაში. საბჭოთა სისტემა გარანტიაა დემოკრატიის ბატონობისა. ამით განსხვავდება ის ყალბი დემოკრატიისაგან.

ლეგატს თემის ყოველ 1000 მცხოვრებზე.

6. ქალაქებისა, საარეწველო დასახლებულ ადგილებისა და დაბებისა და ცალკე განყოფილი დიდი სოფლების საბჭოები.

27 ქალაქები, დაბები, სამრეწველო დასახლებული ადგილები და დიდი სოფლები, როგორიც არის მგალობლისა, ბორჯომი, ხაშური, სურამი, ცხინვალი (გორის მაზრა), ველისციხე, ლაგოდეხი (სიღნაღის მაზრა) შულავერი (ბორჩალოს მაზრა) ტყიბული, სამტრედია, ხონი (ქუთაისის მაზრა) ჩხარი, საჩხერე, ჭიათურა (შორაპნის მაზრა), მანგლისი (ტფილისის მაზრა), ლანჩხუთი (ოზურგეთის მაზრა),—აირჩევენ თავიანთ საბჭოებს ნორმით—ერთი დეპუტატი ყოველ 1000 მცხოვრებზე, ხოლო არა უმცირეს 15 და არა უმეტეს 60 დეპუტატისა, გარდა ქალაქ ფოთისა და ტფილისისა.

შენიშვნა: საარჩევნო მეტრს, მუშათა წარმომადგენლობის პრინციპით, თვით განსაზღვრავენ და აცნობებენ სამაზრო საარჩევნო კომისიას.

28. საბჭო აირჩევს აღმასრულებელ გამარტივებულ კომიტეტს საქალაქო ტიპისამებრ,—7 წევრისაგან. ქალაქებისა: ტფილისი, ფოთი და ბათუმი აირჩევენ აღმასრულებელ კომიტეტებს შედგენილობით 15—25 წევრამდე.

29. საბჭოები მიიღებენ მონაწილეობას სამაზრო ყრილობებში და ძალი მეშვეობით საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოების ყრილობაში გარდა ქ. ტფილისისა და ფოთისა, რომელნიც გზავნიან თავიანთ დელეგატებს საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე უშუალოდ.

6. საბჭოთა სამაზრო ყრილობები.

30. საბჭოთა სამაზრო ყრილობა შედგება: თემის საბჭოთა წარმომადგენლებისაგან იმ ანგარიშით, რომ თემის ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდეს თითო დელეგატი; სამაზრო ქალაქის საბჭოს წარმომადგენელთაგან, სამრეწველო დასახლებულ ადგილებისა, დაბებისა და დიდი სოფლების წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ ყოველ ორას ამომრჩეველზე მოდიოდეს თითო დელეგატი, ხოლო არა უმეტეს 300 დელეგატისა მთელი მაზრისათვის.

შენიშვნა 1: ჯარის ნაწილები, მოთავსებულნი სამაზრო ქალაქში, გზავნიან თავიანთ დელეგატებს მუშათა წარმომადგენლების პრინციპის მიხედვით ე. ი. ერთ დეპუტატს თვითეულ 200 ამომრჩეველზე.

შენიშვნა 2: ჯარის ნაწილები, მოთავსებულნი მაზრის ტერიტორიაზე, სამაზრო ქალაქს გარეშე, გზავნიან თავიანთ დელეგატებს სამაზრო ყრილობაში იმავე პრინციპით, ხოლო თვინიერ თემის საბჭოსა უშუალოდ.

31. სამაზრო ყრილობა აირჩევს სამანდატო კომისიის—რიცხვით სამიდან ხუთამდე—დეპუტატების რწმუნებულთა შესამოწმებლათ.

32. საბჭოთა სამაზრო ყრილობა შედგენს ყრილობის ყველა წევრთა ანკეტას (თანახმად ამასთანავე დართულ ფორმისა) აირჩევს ყრილობის პრეზიდიუმს და შედგენს სხდომის ოქმს.

ყველა ანკეტა და ყრილობის სხდომის ოქმები უნდა გაეგზავნოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

33. სამაზრო ყრილობა აირჩევს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს არა ნაკლებ 12 და არა უმეტეს 15 წევრის შედგენილობით.

შენიშვნა 1: გამონაკლისს წარმოადგენს ბათომის მხარის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც შესდგება 25 წევრისაგან.

შენიშვნა 2: სამაზრო ქალაქები არ ირჩევენ თავიანთ ტერიტორიაზე აღმასრულებელ კომიტეტებს, არამედ ირჩევენ მხოლოდ საბჭოს. სამაზრო ქალაქის ყოველ საქმეს განაგებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის პრეზიდიუმი ამავე დროს არის სამაზრო ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი.

შენიშვნა 3: განცხადება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის უკანონო არჩევის შესახებ—წარედგინება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

7. საქართველოს საბჭოთა ყრილობა.

34. საქართველოს საბჭოთა ყრილობა სდგება: სამაზრო და ავტონომიური ოლქების საბჭოთა ყრილობებისა, ქალაქების საბჭოებისა და სამრეწველო დასახლებული ადგილების საბჭოთა წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ სამაზრო და საოლქო ყრილობების სოფლის ყოველ 10,000 მცხოვრებზე მოდიოდეს ერთი დელეგატი, ხოლო ქალაქებისა და სამრეწველო დასახლებულ ადგილების საბჭოების ყოველ 2000 ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დელეგატი.

შენიშვნა: განცხადება საქართველოს საბჭოთა ყრილობის დელეგატების უკანონოდ არჩევის შესახებ უნდა წარედგინოს საქართველოს საბჭოთა ყრილობას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ბ. კვირკველია.

საქმეთა მმართველი
ვ. ხაბანაშვილი.

1921 წ. დეკემბრის „22“-ს.
ტ ფ ი ლ ი ს ი.

ახალი ამბები

— **გრიგოლ ცეცხლაძის საღამო** 2 იანვარს კონსერვატორიაში გაიმართება პოეტი გრიგოლ ცეცხლაძის საღამო მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი პოეტები და არტისტები.

— **არდადეგები.** პროფსაბჭომ დაადგინა გაანთავისუფლოს მუშათა ფაკულტეტის სტუდენტები საშობაო არდადეგებზე 1922 წ. 1 დან 16 იანვრამდე, ხოლო პროფტექნიკური კურსების მოსწავლენი მუშათა დღესასწაულებზე, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, სექტორის გამგის დასკვნის მიხედვით.

— **ახალი მარკები.** სახელმწიფო ქალაღდების [illegible] ციაში შეუდგენენ ს. ს. ს. რესპუბლიკის ახალი საფოსტო მარკების [illegible] დაჯილდოვებულ ნიმუშებს შიგედვით.

— **ქალაქის გადასახადი შემოდის.** ქალაქის სალარაში იწყო შემოსვლა სხვა და სხვა გადასახადმა, რომელიც ადდგენილია ს. ქალ. რევკომის ეკონომიური თათბირის მიერ; ასე, კარგად შემოდის ქალაქის სამარკო გადასახადი ბაზრებზე მოვაჭრეებიდან წარმატებით შემოდის გადასახადი ხელზე ვაჭრობის უფლებისათვის, აგრეთვე იწყო შემოსვლა სატრაქტირო გადასახადმა და სავაჭრო-სამრეწველო შენობების იჯარის ფასმა. დაევალენა უწყებები ყველა გადამხდელებს სატრაქტირო, საეტლო და სხვა გადასახადისა და ქალაქის აგენტები შეუდგენენ ამ გადასახადების აღებას.

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია.** მუშათა სასახლეში გაიხსნება ასოციაციის სტუდია, რომელშიაც შეუძლიათ ჩაეწერონ მხოლოდ მუშები. ასოციაცია ახლო მომავალში გამოსცემს სტუდიელებისათვის ჟურნალ „სამეცდლო“-ს ასოციაციის წევრების რეგისტრაცია ხდება პოლიტიკურ განათლების სააგიტაციო განყოფილებაში, სან. ქურიძესთან.

— **სახლმწიფო უნივერსიტეტში.** დღეს 27 დეკემბერს სახ. უნივერსიტეტის 1-ლ აუდიტორიაში საღამოს 7 საათზე სტუდენტთა საბჭოს კომისია იწვევს უპარტიო სტუდენტთა კრებას დღის წესრიგშია მოხსენება: საბჭოთა ხელისუფლება და სტუდენტობა. მომხსენებელია ამხ. შ. დუდუჩავა.

გამორჩენილი ან დავიწყებული

(**მწერალი ზელანია ბადრიძე***)

მე-19 საუკუნის ქართული აზროვნების, თუ მხატვრულ სიტყვის ისტორია მეტად საინტერესო თემაა და განსაკუთრებით პირველი ნახევარისა, მაგრამ მას ჯერ არ მიჰკარებია მკვლევარის ხელი. მხოლოდ არჩ. ჯორჯაძემ სცადა ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის ძასალების დამზადება, მან ეს ძასალები მოაზროვნის ანალიზითაც დაალგა, მაგრამ მა ნც ამ საუკუნის მეორე ნახევარის სურათი მოგვცა. დარჩა პირველი ნახევარი, როგორც თითქმის terra incognita, რომელსაც თანამედროვე მწერალი გვერდს უქცევს, როგორც თითქოს არ არსებულს. რომ არა გვაქვს ამ პირველი ნახევრის ისტორიული ფაქტთა ანალიზი და ნარკვევი მთლიანობა, ეს კიდევ არაფერია. ჩვენ თვით ფაქტთა არსებობაც კი არ ვიცით. ქართველ ადამიანის აზროვნებაში თუ გაიელვებს ოდნავი შუქი მთიულეთის აჯანყება ფრონელისა, ან და 1832 წლის შეთქმულება, ია ფალავანდიშვილმა რომ გასცა, ესეც ქრესტომატიებიდან, თორემ ქართული მეცნიერული აზრი ჯერ არ შეჰპარობილა ამ ხანის გაცნობის წადილით. თანამედროვე ქართველ მწერლებს უფრო ეხერხებათ უცხო მწერლების შესახებ გრძელი ფელეტონების წერა, ვიდრე ქართულ სინამდვილის გაგებისთვის გარჯა. ან თუნდა მწერლობა ავიღოთ. უკვე შემუშავებულია საქართველოში კრიტიკის ერთგვარი კლიშეები, და ჩვენ უკვე ვიცით, წერილს რომ ბარათაშვილის სახელი ეწოდება, რა შინაარსის იქნება იგი. მათი გვარების ჩამოთვლის წესიგიც კი თითქოს დაკანონებულია საქართველოში, და თუ ზოგჯერ, რომელიმე კრიტიკის გუნებაზე დამდგარი ქართველი არ მოისურვებს ტრაფარეტის გახიარებას, იგი ამ კრიტიკის სისწორესაც ეეჭვა იმაგრებს და გადაგარდება. ეურყოფს ყოველივეს, და საქართველოს, ჯვარს უსვამს. ეს ისტორიულად დევნილ ერის თვისებაა, დასვენების ჟამს რომ ჩნდება. ასე დაგვმართა ჩვენც. დღეს აღარ ვიცით, როგორ და რა გზით მოხდება ჩვენი დავიწყებულ საალბომის კარის გაღება, რომ გამოვიტანოთ მაში დაკარგულივით მივიწყებული საუნჯენი. მართალია „დიდ სიძნელეს წარმოადგენს ხელ-უხლებელი მასალის გაცოცხლება, უეკვოა, რომ პირველ მკვლევარს ერთგვარი გმირობაც სჭირდება, მაგრამ ისიც მართალია, რომ გარიყულმა ერმა უნდა ყოველი გზით შესძლოს ამ აზროვნების გმირული ატმოსფერის შექმნა, რადგან ერს ბოლოს და ბოლოს ხმალი კი არ სდარაჯობს საბოლოოდ, არამედ წიგნი. კულტურა არის ის ფარი, რომელსაც ვერ ბრდვევს ვერავითარი მახვილი.

* * *

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი მეტად საინტერესო ხანას წარმოადგენს. რამდენადაც ვიცით, ჩვენი ერის ისტორია, არ გვქონია ისეთი ოდენობის და თვისების ფაქტი, როგორც რუსეთის შემოსვლა იყო საქართველოში. უსაფუძვლო რიდია ის ოდნავ ჩასახული კითხვა, რომელიც ეძიებს პასუხს: საქართველოს რუსეთს ნება-ყოფლობით შეუერთდა, თუ უკანასკნელმა ძალით დაიპყრო პირველი. რუსულმა ოფიციალურმა ისტორიამ და ქართულმა დაზინებულმა აზრმა როგორ გადასწყვიტა საკითხი, ეს იმდენად რიდია საინტერესო. უფრო ღირს საცნობია ის ისტორიულ დოკუმენტების მეტყველება და საზოგადოებრივ-პსიხოლოგიური რეაობა, რომელთ რკვევამაც უნდა მიგვიყვანოს ეჭვშეპარტებამდე. ამ უკანასკნელ წყაროებიდან კი ერთი რამ გარკვეული დებულების გამოყვანა ძნელია. მართალია, პოლიტიკურად რუსეთმა უფრო დაიპყრო საქართველო, ვიდრე ნებაყოფლობით შეიერთა, მაგრამ მართლა პოლიტიკა ხომ არ სწყვეტს საკითხს? მის ცვერდით არსებობდა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ორად იყოფოდა და ჰკვეთდნენ ერთანეთს. ერთიც ტ მეორეც რომანტიულ ძალისა აღმოჩნდნენ, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ რუსეთის მოწინააღმდეგენი უფრო ამაღლებულნი იყვნენ და იცოდნენ თუნდ ხნოლოდ იდეის ფასი და ძნიშვნელობა. მათთვის საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე ერთგვარ ობსტრაქციათ იქცა, მაგრამ მაინც მას მისდევდნენ, როგორც მეოცნებე რაინდები. მეორე ნაწილი უფრო დაბლა იდგა. იგი ნივთიერ ქვეყანას უწევდა ანგარიშს, იგი ხელ-შესახებს ეძიებდა, რომ საკუთარ თვალით ენახა პირადი და ქვეყნის ბედნიერება. ეს მეორენი ეთაყვანებოდნენ რუსეთს. იქიდან იწყება რუსულ კულტურით გატაცება, რომელიც მთელ საუკუნეს გამოჰყვა, როგორც სენი, დღეს უკვე ძალა დაკარგული და ოდნავ დარჩენილი. ჩვენმა ისტორიულმა ლიტერატურამ თითქოს დავიწყებას ძისცა ეს მეორე მიმდინარეობა; და საზოგადოებრივ აზრის მდგომარეობა ისე წარმოგვიდგინა, როგორც სევდა დაკარგულ დამოუკიდებლობის გამო. მან ან გვერდი აუქცია, ან ეეჭვარ დაინახა ის მეორე მიმდინარეობა, რომელიც არც ისე სუსტი იყო, და რომელმაც დაღი დაასვა მთელ საუკუნეს. ნ. ბარათაშვილს „ბედი ქართლისა“-ში ეს ძომენტი აღნიშნული აქვს, რადაც ,ჩრდილოს ქარს ახსენებს, რომელმაც ქალებს ყველაზე უწინ „გარდაუცვალა გული ცხოველ“. მაგრამ რა საჭიროა ბარათაშვილის ან სხვა ვისიმე დამოწმება. ჩვენ წინ გადაშლილია დიდი ფაქტი, საქართველო მე-19 საუკუნეში, რომლის ანალიზი უსათუოდ იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ საქართველოში იყო დიდი მოლოდინი რუსეთისა, იყო სიმპატიები, რასაც ნათლად დაამტკიცებს ის დიდი გაგლენა, რომლითაც ჩვენი ცხოვრება ხასიათდებოდა. იქნებ ეს ორი კულტურის შებრძოლება იყო? იქნებ ქართული დამარცხდა როგორც სუსტი?—არა. ახალმა მოვლენამ გაიტაცა საზოგადოება, მით უმეტეს, რომ მან ააცილა ერს ის ომის საშინელებანი, რომელსაც მწარე სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს უბირი მოქალაქე. ეს არ იყო ქართველების ან უკულტურობის მაჩვენებელი ან გადაშენების ფაქტი. ეს სოციოლოგიური კანონია თუ გნებავთ, რომ ახალ ძალას უნდა მიეზიდნა ქართული მასა, ერთგვარი გაგლენა უნდა მოეხდინა ამ დღემდე უცნობ მოწოლილ ძალას. თავის დათავად, გარეშე ძალ-დაუტანებლად ეს ასე ხდება ყოველთვის. მხოლოდ შეუნებული წინააღმდეგობას შეუძლიან არ ამბოგინოს ეს მოვლენა და საქართველოში, როგორც სჩანს, ნაკლები ყოფილა ეს საწინააღმდეგო რეაქცია. კი ვიცით აჯანყებათა მთელი რიგი, მაგრამ ის ბრძოლის ველზე გაწბილებულ ვაჟკაცების შურის ძიება იყო; ვიცით ფეოდალური საზოგადოების გეგმებიც, მაგრამ ისინიც დამსხვრეულ იმედებზე იყვნენ აღმაცენებულნი და შეთქმულობის აღმოჩენასთან ერთად განელდა კიდეც ამ მოწინავე ინტელიგენციის რევოლიუციური პათოსი. მხოლოდ მესამოცე წლებიდან იწყება ერთგვარი აზრის გამოცოცხლება, თუმც აქაც აზროვნების სფეროს არ გასცილებია იგი. მანამდე კი ეს იდეაც მინელებული იყო და საზოგადოებრივი აზრი, აჯანყებათა და შეთქმულებათა ატმოსფეროში გამოვლილი, არამც თუ შეურიგდა სინამდვილეს, გაჰყვა კიდეც და თუ კნორინგმა მას ფერთები შეასხა და დაიმედა, თუმც მოკლე ხნით, თუ ციციანოვის რკინის რეტიმმა იგი ამბოხების გზას დაუყენა, თუ ერმოლოვმა მრისხანებით გამოიწვია იმ იდეის გამტკიცება, სამაგიეროდ ვორონცოვმა თავისი მოქნილი პოლიტიკით დაიშოშმინა ქართველების აღშფოთებული სინიდისი. „კავკასიის მრავალ ტომთა შედუდება რუსის ხალხთან იყო ვორონცოვის მთავარი მიზანი, რომლისკენაც ვორონცოვი დაუდალავად მიისწრაფვოდა“ (Юб. сборн. к стол. присоед. Гр. к России. გვ. 32) მაგრამ ამ წინამორბედთა მიერ ნაანდერძევს იგი ჰფარავდა „მხარეში განათლების გავრცელებით, ამიერ-კავკასიის საწარმოო ძალთა განვითარებით, მის საზოგადოებრივ ცხოვრების მოწყობით და ტფილისის ევროპიულ ქალაქის დონემდე აყვანით“ (იქვე). ეს იყო მიზეზი, რომ ამ დროინდელ ქართველ საზოგადოებას მოულოდნელ გული, გადაშენების პერსპექტივა გაუქარვა და ათქმევინა ხოტბა ამ დაუმსახურებელ სახელმწიფო მოდვაწის მიმართ. ვინც ნახავს ტფილისს, იგი რღმა მოწიწებით გაჩერდება ამ სახელოვან კაცის უზარ-მაზარ ბრინჯაოს ქანდაკების წინაშე, რომელთანაც ყველა რუსისათვის დაკავშირებულია ამდენი სასახელო მოგონებანი“-ო, (იქვე) ასე ამბოლოვებდა მის ბიოგრაფიას ოფიციალ რუსულ ისტორიის დაინტერესებული დამწერი. მაგრამ ქართველი ხალხიც არა ნაკლები მოწიწებით შესცქეროდა ამ ბრინჯაოს გამართულ მამა-კაცს, რომელმაც ისე ოსტატურად მიიზიდა ქართველ საზოგადოების გულისყური და პატივისცემა. ჩვენი მწერლობა არ იცნობს ჯეროვანად ჩვენი ისტორიის ამ კუთხეს, შეიძლება იმიტომ, რომ ჩვენი მოქალაქეობრივი შეგნებისთვის ეს წლები უსიამოვნო განცდების გამომწვევნი არიან, მაგრამ ნამდვილი მოქალაქეობა უფრო უშიშარი უნდა იყვეს და როდესაც ამას ზედ დაერთვის მეცნიერული დაინტერესებაც, ყოველგვარი განცდების ქვეყანა უნდა დატოვებულ იქმნეს.

* * *

არჩილ ჯორჯაძე თავის ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის შეკრებილ მასალებში სწერს, რომ „თავად-აზნაურული ლოიალიზმი ვორონცოვის ხანამდეც ჯერ ცხოველმყოფელი გრძნობა იყო. ცნობილ ამბოხების დამხობის შემდეგ, ეს გრძნობა უკვე ცოცხალი იყო იმ საზოგადოებაში, რომელსაც თავისუფალ თვითგამორკვევის სურვილი ასე სწრაფად დაეზნო გულში. სიჩუმე, მოჩრილება, გალმერთება და თაყვანისცემა ძალიერის პოლიტიკურის ძალისა—ამ გრძნობებით ცოცხლობდა მაშინდელი ქართველი საზოგადოება. ხელთა მაქვს ფრიად საყურადღებო დოკუმენტი“-ო და ამ დოკუმენტად ხმარობს დიმ. ყიფიანის დედის წერილს, შვილისადმი მიწერილს.—„ქალმა ინსტიქტით იცის რეალური პოლიტიკის ალლოს ალება“. თუ ეს მართალია, მაშინ მე უფრო საყურადღებო დოკუმენტი აღმომიჩენია, რადგან იგი არც კერძო წერილია, არამედ ლიტერატურული ნაწარმოები, და დაწერილია არა უბირ დედაკაცის მიერ, არამედ განსწავლულ ქართველ ქალის ხელით, რომელიც თავ სი გონებრივი ხუნჯით ალბად ბევრით ადემატებოდა თავის თანამედროვე მამაკაცთა უმრავლესობას.

მაგრამ ეს „დოკუმენტი“ მხოლოდ დოკუმენტი როდია. იგი დირსსაცნობი ლიტერატურული მოვლენაა უმთავრესად, რომელიც დღემდე ქართველ საზოგადოებისთვის უცნობი, დღეის იქით პრეტენზიას გამოაცხადებს, რომ იხსენებოდეს იქ სადაც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის მწერლებზე იქნება საუბარი. ეს ლიტერატურული ფენომენი მელანია ბადრიძეა, რომლის სახელი დამარხული იყო არქივების წიგნებ ქვეშ და რომელიც უნდა გადიქცეს ჩვენი მწერლობის ისტორიის ერთ პუნქტად. განსაკუთრებით ქართველ მწერალ ქალთა ისტორიაში ეკუთვნის მას დირსეული ადგილი, როგორც ერთერთ პირველ მწერალ ქალთაგანს, რომელიც თავისი ინტელექტუალურ სიმძიმით და უფრო, თავისი ბიოგრაფიის დირსებით, მეტად უჩვეულო სახეა ჩვენ მწერალ ქალთა გალერეიაში, იგი ორი მხრივ არის საინტერესო. ჯერ, როგორც მწერალი თავის-თავად, და შემდეგ რაგორც დროის ფიქრთა მაჩვენებელი.

* *

1916 წელს, პეტერბურგში, პროფ. ვენგეროვის დახმარებით, საჯარო ბიბლიოთეკის არქივში, საქართველოს ჟურნალ-გაზეთების და ძველი წიგნების განყოფილებაში, ვნახე ტფილისში გამოცემული 1855 წლის რუსული ჟურნალი „ზურნა“, ვერდეროვსკის რედაქტორობით. ჟურნალის სარჩევში—„Будущая грузинская писательница“-ს ფსევდონიმია. ეს ინტერესებდა პროფესორ ვენგეროვს, თავის რუსეთის მწერალთა ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონისთვის. დამავალა მისი გამოკვლევა, მაგრამ მასალების უქონლობის გამო, დღემდე ვერ მოვაყვანე სისრულეში ჩემი დაპირება. იქვე ვნახე 1854 წლის რუსული ტფილისური გაზეთი „Кавказ“-ი, რომლის ეცნობი თანამშრომელი მთელ ფელეტონს უძღვნიდა ამ მწერალს ქალს, მეტად ალფრთოვანებული სტილით, თუმც ჯერ ამ ქალის ნაწარმოები არსად არ იყო დაბეჭდილი. ძეფელეტონე სწერდა იმ ხელთნაწერების მიხედვით, რომელიც მისთვის გადეცათ. ერთი წლის შემდეგ კი ზემოგენებულ ჟურნალში დაიბეჭდა მელანია ბიდრიძის ავტობიოგრაფიის ნაწყვეტები და მოთხრობის ნაწილი, სათაურით „კატო და ანა“. ამ მასალის გარდა პეტერბურგში ვერაფერი ვერ ვიპოვნე. ჩვენს მუზეუმებშიც ბევრი ვეძებე, ხელთ-ნაწერებშიც: კითხვა-კითხვითაც, მაგრამ ვერას გავხდი. ეს მწერალი ქალი არავის ახსოვდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ დღეებში, სრულიად შემთხვევით წავაწყდი გარემოებას, რომელმაც მეტად დიდი დახმარება გამიწია ამ მწერალ ქალის პიროვნების გამოსარკვევად.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

*) მოხსენება, წაკითხული სახ. საქ. ახალ მწერლობის კავშირის მესამე სხდომაზე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
ყამომცემელი— მთავარი კომიტეტი.